

9
1966



— რა იქნა, კაცო, ეს ხალხი, მიჯამ ჩაეღაპა?

№ 3 (1229) თბილისი, თბილისი 1966

საქმე

აგროცემის 48-ე წელი. ფასი 20 კპპ.



შია ნიანგო, გამარჯობა!

ხომ ხედავ, გავკანონირდი და „პაპობა“ „დიობით“ შეგიცვალე...

მისთვის

ბაღაღე უფორებისა

ხალაში, ჩვენო ოქროპირ — ცივი წყალივით ნანატრო, შენი სიტყვა და იმედი არ მოგვეშალოს არასდროს!



შია ნიანგო!

კარგად დააკვირდი ამ... კაცს (კაცებთან ბოლიში). ჯერ კიდევ ახალდაბადებული ვიყავი...

მ. ზინინაძე

შენი ოქროპირი



ამასწინათ ისეთი სიზმარი ვნახე, სიზმრის უნახავი გამხადა. ნაშუადღევს...

დიდხანს ვისხედით და ვჭკუჭკობდით. მერე პროსპექტზე გამოვედით...

ოპერას რომ გავუპირდაპირდით, გაცივებულებმა შეგინწყინათ...

შეგებულანო. პროსპექტზე ყველა შეუჩვევლამა უკლებლივ კაშკაშებდა...

პროსპექტში (ხმამალა და ზეპირად): ჩვენი მიზანია, ათას ცხრაას...

მემბრის წყარო! ჩვენს ფაბრიკაში გვეყავს ბევრი რაციონალიზატორი...

პროსპექტში: ძვირფასო ჩემო მამა, უფროსო ჩემო მამა...

პროსპექტში: ხომ არ იცით, სად არის იგი ახლა? სპირიტული (ხმამალა და ზეპირად): აი, სწორედ...

პროსპექტში: ხომ არ იცით, სად არის იგი ახლა?

რა უნდა გავაკეთო

(ისმის მრეწველობის ამსახველი მუსიკა)

საშუალოანი ტელეკომუნიკატორი: ძვირფასო ტელემაყურებლებო!

კომენტატორი: ამხანაგო სპირიტუალი! ტელემაყურებლებს აინტერესებთ...

სპირიტული (ხმამალა და ზეპირად): ასეთ წარმატებებს მი მიყავით...

კომენტატორი: პატრიჯიკოლო სპირიტული, თუ შეიძლება, გვიჩვენებთ...

სპირიტული (უფრო ხმამალა და ზეპირად): მე ვმუშაობ ათას ცხრაას...

კომენტატორი (პასუხით გახარებულად): ვმადლობთ, ღრმად პატივსცემული სპირიტული!

სპირიტული (ხმამალა და ზეპირად): მე მადლობას ნუ მიხდით...

კომენტატორი (სპირიტულს): ხომ არ იცით, სად არის იგი ახლა?

სპირიტული (ხმამალა და ზეპირად): აი, სწორედ სხენებაზე, იგი ჩვენსკენ მოემართება.

Large stylized text 'მისთვის' and 'რა უნდა გავაკეთო' in a decorative frame.

(ამ სიტყვაზე კულისებიდან ხელმეორედ გამოვიდა დირექტორი და საზეიმო ნაბიჯით მიუახლოვდა კომენტატორს).

კომენტატორი: ო, გამარჯობათ, ამხანაგო სევერიან!

დირექტორი (ხმამალა და ზეპირად): გაგიმარჯოთ! ჩვენს ფაბრიკაში გვეყავს ბევრი რაციონალიზატორი...

კომენტატორი: ძალიან კარგი, ამხანაგო სევერიან! როგორია თქვენი ფაბრიკის მომავალი გეგმები და მიზნები?


დირექტორი (ხმამალა და ზეპირად): ჩვენი მიზანია, ათას ცხრაას ოთხმოცი წლისთვის გამოვეყვით...

კომენტატორი: ძვირფასო ჩემო მამა, უფროსო ჩემო მამა, უფროსო ჩემო მამა...

(ისმის მრეწველობის ამსახველი მუსიკა).

მ. პატარაია

ჯავრიან ვიზუალური



— არც ახლა მიმიღებთ?!

დავით - ბიხარი

ერთხელაც ტაქსების გაჩერებასთან ვდგავარ. განა არ მეჩქარება? პირიქით, ძალიან მეჩქარება, მაგრამ ვდგავარ. ტაქსებიც იცდიან და მეც ვიცდი. მე ვიცდი, ინიტომ, რომ ვერ გადამიწყვეტია, ჩაჯდვი, თუ არა. ტაქსი ჩემს საგაზეთო ფარდულამდე ორ მანეთს წერს. ორი და ორი ოთხია. ორი მანეთი კიოსკამდე მისვლისა უნდა გადავიხადო, ორი მანეთიც — უკან დაბრუნებისა. უკან წამოსვლას არ ვაპირებ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, მეც დავბრუნდები, თუ ორ მანეთს გამოვგზავნი შოფრის ხელით. რა თქმა უნდა, არა სააკუთარ ოჯახ-



— დავუმატე, სადოლ!
— ...გზა ერთია, დაუმატე!
— ვუყვირი მე.
— დავუმატე, ოქრო ხარ!..
— ...გზა!..
— გმადლობთ!.. შვილები გყავს?
— ჰო! მივედით. აგერ ჩემი კიოსკი.
ხალხი აღარა დგას. ხალხი დაშლილა.
მანქანიდან გადმოვდივარ.
— სადოლ, ჯიგარო, გმადლობო! — შოფერიც გადმოდის, ხელს მართმევს. მკოცნის. ვკოცნი.
— აჰა, ფული! — გაძღვე.
— შენ გიყვი ხო არ გიჭა-



ში, არამედ ტაქსის შოფრის ოჯახში. რამდენჯერ მიფიქრია, ნათესავი მაინც იყოს, ნათელმირონი, მეჯვარე, ან რაღაც ამის მსგავსი. საქმეში ხარ?!
ბოლოს გაზედვე. კიოსკი. გაზეთები. ხალხი გაზეთების მოლოდინში „ჩაოჩერებულნი“. როგორც ჩარჩოიანი სურათიდან, ისე ვიხედებდი ხოლმე კიოსკის სარკმლიდან.
ერთი სიტყვით, ჩაჯექი. მივდივართ.
— შეიძლება კლიენტი დავეუმატო, გზა თუ ერთი იქნება?

— დაუმატეთ!
დაუმატა. ბავშვიანი ქალი ჩასვა. მერე ბავშვიანი ქალი გადმოსვა, მანეთი ჩამოართვა. მივდივართ.
— შეიძლება კლიენტი დავეუმატო, გზა თუ ერთი იქნება?
— დაუმატე!
დაუმატა. პორტფელიანი კაცი ჩასვა. მანეთი ამ კლიენტს აართვა.
— შეიძლება?..
— დაუმატე!
მივდივართ... რამდენჯერ მიფიქრია: რა იქნება, ერთ მშვენიერ დილას ჩემი კიოსკი ჩემი სახლის წინ აღმოჩნდეს, ხოლო ის კიოსკი, რომელშიაც მე არ ვმუშაობ, მაგრამ ჩემი სახლის წინ დგას, გადაიტანონ იქ, სადაც ჩემი კიოსკია.
მივდივართ.
— შეიძლება კლიენტი?..
— დაუმატე!
დაუმატა... მანეთი...
ერთ გზაზე მავალ ხალხს რა გამოლევს?
— კლიენტი დავეუმატო?..
— დაუმატე!
გზა ერთი. კლიენტი მრავალი. მანეთი ჯერ ერთი, მერე მრავალი...

— ...დავეუმატო?..
— დაუმატე!
— გზა თუ ერთია?..
— დაუმატე!
დაუმატა. მივდივართ.
— ...იქნება?
— დაუმატე!..
დაუმატა ერთი მანეთი. მივდივართ.
— დავეუმატო, გზა?..
— დაუმატე!
დაუმატა.
— ...ერთი?..
— დაუმატე!
დაუმატა. მანეთი. მივდივართ.
მივდივართ. მანეთი. დაუმატა.
მანეთი. დაუმატა. მივდივართ.
— ...კლიენტი?..
— დაუმატე!
დაუმატა. მივდივართ. „საქართველო“. ოთხი მილიონი მოსახლე... გზა ერთი. აუპ! ოფლი შუბლზე. ოფლი ყბებზე... ოფლი კბილებში. მივდივართ.
— დაუმატე! — გიუბნები ახლა მე.
— სადოლ! — იცინის შოფერი.
— კლიენტი დაუმატე!



მია? შენგან ფული ავიღო?!
ამდენი ხანია ერთად მოვდივართ, ნათესავივითა ხარ. გმადლობთ. ჩვენც გვაქ ნამუსი!..
— ჰო!..
ამის შემდეგ სულ ტაქსში ვჯდები. სულ მუქთად დავდივარ. მომნათლა. მე შვილი მოეუნათლე. მერე მისმა ცოლმა მომინათლა შვილი. მერე მე მოენათლე მისი ცოლი. მისვლა-მოსვლა... ნათესაობა... როგორა ხარ, ჯიგრებო!
მერაზ ელიოზიშვილი

წესი...!

თბილისში, კლარა ცეცხლის ქ. № 121-ში მდებარეობს ექსპერიმენტული საავეჯო ფაბრიკა. სწორედ აქ, არც თუ ისე მივარდნილ და მყუდრო უბანში, მოხდა სასწაული: გასული წლის ცამეტ სექტემბერს, თვალსა და ხელს შუა ეთერივით გააქრა ორმოცდათექვსმეტი ცალი ტახტი, ანუ ოთხი ათას ოთხას ოთხმოცი მანეთი. ეს მაშინ, როდესაც ალაყაფისა და საწყობის კარებს ხელმეუხეზად ედო ბოქლომები და ლუქები, როდესაც არც ფანჯრები იყო გატეხილი, არც კედლები განგრეული და არც იატაკი აყრილი. იყო მხოლოდ ოდნავ დაზიანებული ჩერი, რომლის ჭუჭრუტანიდანაც მზის სხივი დიდი გაჭირვებით ძვრებოდა. ტახტები კი მაინც დაიკარგა. ტახტები და მერე რა ტახტები! მასზე სიამოვნებით მოირთხავდა ფეხს თვით შაჰირარიც, გვერდით მოისვამდა შეპერეზადს და ისიც უამბობდა დაახლოებით ასეთ ათასმეორე ზღაპარს:

„ო, ბედნიერო მეფე! მე გიამბობ იმ ტახტის შესახებ, რომელზედაც შენ ზინარ: თბილისის, ექსპერიმენტულ საავეჯო ფაბრიკაში, რომლის კარიბჭენიც ბოქლომითა და ლუქით იყო დატყული, ორმოცდათექვსმეტმა ტახტმა დატოვა საწყობის კედლები ისე, ვითარცა ჯინი ქოთანნი!..“ მაგრამ შეპერეზადაც კი ვერ მოახერხებდა ამის გაგრძელებას, რადგან დაზიანების ასავალ-დასავალი დღემდე გაურკვეველია (!!!) ვინ იცის, იქნებ ახლა ქურდი იმ ტახტზეა წამოწოლილი, კითხულობს ამ სტრიქონებს და კმაყოფილებით ფიქრობს, თუ რა მშვენიერია ცხოვრება. ვინ იცის, ვინ ზის იმ ტახტებზე და ვინ იცის, ვინ უნდა „იკადეს“ იმ ტახტების გამო. ვინ იცის?



ეროვნული
ბიბლიოთეკა
ნ.ბ. შ. ანაბიძის

— ამოღი, კაცო, მირი თავზე მინებოვა!
სასაგათოველი: მირი თუ განებოვა, უან თპითონ ჩა-
მოლი

საქონლის დაცვა

ნიანგისთვის ცნობილია, რომ ზოგიერთი დამწყები მეცნიერი განიცდის ერთგვარ უხერხულობას სადისერტაციო თემების ნაკლებობის გამო. მათ ვერ შეუძლებიათ დასამუშავებლად სათანადო პრობლემები, რაც საკმაოდ დაბრკოლებას უქმნით მეცნიერების კარის შეღების კეთილშობილურ საქმეში.

ნიანგი, როგორც საზოგადო საქმისათვის თავდადებული სულიერი არსება, დღეიდან იტვირთავს მძიმე მოვალეობას და გამოაქვეყნებს ჯერჯერობით დაუმუშავებელ, აქტუალურ თემებს, რომლებიც, იმედია, გამოადგებათ მეცნიერების სხვადასხვა დარგის ზღურბლზე მდგარ ახალგაზრდა ადამიანებს:

1. მაღალანაზიანი ფესვსაქმის და საქმიან განწყობილების გავლენა დაბალი ტანის კალთბურთელთა შედეგიანობაზე (განწყობის თეორიის თვალსაზრისით).
2. შინაური ბუზის ფრენის აპოგეისა და პერიგეის განსაზღვრის თავისებურებათა მეთოდოლოგიური საფუძვლები.
3. სირაქლემასა და აქლემის მსგავსება-განსხვავების საკითხისათვის.
4. ხელით შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხები მთლიანად ავტომატიზირებული საწარმოს პირობებში.
5. ყვავის ყრანტალისა და ყორნის ჩხავილის ესთეტიკური ხარისხი სინამდვილის სწორად ასახვის, ტიპურობისა და იდეურობის ასპექტში.
6. ღვინის ახლებურად დაყენების გამოცდილებიდან (ფინანსიური დანახარჯებისა და მატერიალური გამოჩენის შედარებითი ცხრილების თანდართვით).
7. ბინათმშენებლობაში ჭერისა და იატაკის მაქსიმალურად დაახლოების პრინციპები (უახლესი მონაცემების მიხედვით).
8. ბზიის აგრესიულობის ბუნებისათვის საერთაშორისო სამართლის შუქზე.
9. მინიმალური ძალებით მეცნიერებაში მაქსიმალური შედეგების მიღწევის ზოგად-ობტინალური განგარიშებანი.

(გაგრძელება იქნება)

გასტრონომის გამყიდველებს: სასწორის თეფშებს რომ დენი შეუერთონ.
მსმელ მოფრებს: ღვინის სუნზე რომ სტარტერმა არ „აიღოს“.
კინოთეატრების მოლარეებს: დღის სეანსზე რომ ყველა ახლომხედველი მოვიდეს.
ლუდის გამყიდველებს: კლიენტებმა რომ წინასწარ მარტილი ჩაყარონ კათხებში.
მებუფეტეებს: არაყი რომ წყლის გარეგით შადგებოდეს.
სიგარეტ „თბილისის“ გამყიდველებს: კოლოფი რომ 15 ან 20 კაპიკი ღირდეს.
ზოგიერთ სტუდენტს: გამოცდის მაგიერ ლექტორის გვარი და სახელი რომ ჰკითხონ.
ზოგიერთ მწერალს: მისი თხზულების გაუსადგებელი ტირაჟი რომ მასვე დააწერონ.

ბ. ზარნაძე

ილუზიონისგის ოჯახში



ნ.ბ. ჯ. ლოლუასი

შვილსაც ილუზიონისტად ზრდი?
არა, ჩაურჩხებელი კაფიანად შემუშავია!

დასავლეთგერმანული სიბეჭე



ვერ ვხედავი!



ხედავი!



ხედავი!



ვერ ვხედავი!